საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1300 2018 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 03.05.07 წ. №14 ოქმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 8 მაისის №1-1/723 ბრძანებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 03.05.07 წ. №14 ოქმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 8 მაისის №1-1/723 ბრძანების მე-5 პუნქტით განსაზღვრული რიგი პირობებისაგან განსხვავებული პირობები, კერძოდ, შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტმა“ უზრუნველყოს ამავე პუნქტში აღნიშნული ქონების საგანმანათლებლო პროფილით ფუნქციონირება, საგანმანათლებლო დაწესებულების წლიური სახელფასო ფონდის არანაკლებ 220 000 ლარის ოდენობით განსაზღვრა და ამავე დაწესებულებაში წლიურად მინიმუმ 75 ადამიანის დასაქმება 2018 წლის 1 ივნისამდე.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**